



განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი

უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამასთან დაკავშირებით საგანმანათლებლო პროგრამების
აკრედიტაციის საბჭოს რეკომენდაციების შესრულების თაობაზე უმაღლესი საგანმანათლებლო
დაწესებულების მიერ წარმოდგენილი ანგარიშის შესახებ დასკვნა

ასტრონომიის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა

სსიპ - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი

დასკვნის წარმოდგენის თარიღი-11.02.2022

დასკვნის მომზადების მიზანი

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველყოფისთვის, საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებით გათვალისწინებული რეკომენდაციების ან/და რჩევების საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ შესრულების შეფასება.

ანგარიშის შეფასების პრინციპები

წარმოდგენილი ანგარიში უნდა შეფასდეს შემდეგი პრინციპების დაცვით

- ანგარიშის შევსების სისწორისა და თანდართული დოკუმენტაციის შესაბამისობის შეფასება
- აკრედიტაციის პროცესის შედეგად აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში ასახული რეკომენდაცი(ებ)ის ან/და რჩევ(ებ)ის შესწავლა
- საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს მიერ გადაწყვეტილების მიღებისას გამოკვეთილი და შესრულებული რეკომენდაცი(ებ)ის ან/და რჩევ(ებ)ის შესწავლა
- საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ რეკომენდაცი(ებ)ის ან/და რჩევ(ებ)ის შესრულებისთვის შერჩეული მეთოდების/მიდგომებისა და შედეგების შეფასება
- რეკომენდაცი(ებ)ისა ან/და რჩევ(ებ)ის შესრულების დამადასტურებელი მტკიცებულებების შეფასება
- ანგარიშის შესწავლის შედეგების ფორმირება

ექსპერტი

სახელი ----გიორგი-----

გვარი ----დალაქიშვილი-----

ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მიითითებით	სსიპ-სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი
--	---



დაწესებულების სახე	უნივერსიტეტი
დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი	424066977

ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება ¹	ასტრონომია
2	უმაღლესი განათლების საფეხური	მაგისტრატურა
3	კვალიფიკაციის დონე ²	მე-7
4	კვალიფიკაციის დასახელება	ასტრონომიის მაგისტრი/Master of Astronomy
5	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით ³	
6	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013) ⁴	0533 ფიზიკა /Physics
7	სწავლების ენა	ქართული
8	ECTS კრედიტების რაოდენობა	120
9	განხორციელების ადგილი ⁵	ქ. ახალციხე, რუსთაველის ქ. 122 უნივერსიტეტის II კორპუსი. საქართველო 0800
10	საგანმანათლებლო პროგრამის სტატუსი-აკრედიტაცია შესაბამისი საბჭოს ბოლო გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	აკრედიტებული გადაწყვეტილება №531518 7.06.2021 წ.
11	გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღი	7.06.2021
12	საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიშის წარმოსადგენად განსაზღვრული ვადა, თარიღი	31.01.2022
13	აკრედიტაციის ვადის გასვლის თარიღი	7.06. 2028

¹ დასახელება შინაარსობრივად შეესაბამება დეტალურ სწავლის სფეროს

² ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს მიხედვით

³ მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში

⁴ განათლების საერთაშორისო სტანდარტული კლასიფიკატორი ((ISCED – F – 2013)

⁵ ქვეყანა, საფოსტო ინდექსი, ქალაქი/მუნიციპალიტეტი, ქუჩა, ქუჩის ნომერი



საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შეფასება საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილების მიხედვით

სტანდარტები	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	✓			
2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა	✓			
3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	✓			
4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	✓			
5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	✓			

შესასრულებელი რეკომენდაცი(ებ)ი⁶

- 4.1 სამაგისტრო ნაშრომის შეფასების კრიტერიუმების განმარტებები გაიწეროს ქულების მიხედვით;
- 4.2 მოხდეს სწავლის შედეგების დადარება თანამედროვე შრომის ბაზრის მოთხოვნებთან;
- 4.3 სავალდებულო საგნებში კვირაში 2 საკონტაქტო საათი სასურველია შეიცვალოს 3 საათით.

⁶ საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებით განსაზღვრული რეკომენდაციების რაოდენობის გათვალისწინებით



რაც უდავოდ შეუწყობს ხელს დასახული მიზნების მიღწევას. განსაკუთრებით თვალშისაცემია მცირე საკონტაქტო საათები 6 კრედიტის საგნების დროს. კლასიკური საგნების: სფერული ასტრონომია, ცისმექანიკა, ვასრკვლავთა ასტრონომია, ასტროფიზიკა... სილაბუსებში სასურველია უახლესი არსებული ლიტერატურის დამატება პირველი სემესტრის საგანში „სფერული ასტრონომია“ ძირითადი ლიტერატურის მე-3 ლექციების კურსი უნდა იქნას გადატანილი დამატებით ლიტერატურაში. რეკომენდებულია შეთავაზებული არჩევითი კურსების მეტი რაოდენობა.

4.4 შემუშავდეს პროგრამის დეტალური ბიუჯეტი და განისაზღვროს პროგრამის მდგრადობის მიმართულებები

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილი ანგარიშისა და რეკომენდაციების გათვალისწინების შესახებ ინფორმაცია⁷

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიშის წარმოსადგენად განსაზღვრული იყო ექვსი თვე, შესაბამისად ანგარიშის წარმოდგენის თარიღი იყო 7.12.2021. დაწესებულების მიერ ანგარიშის წარმოდგენის თარიღია 7.12.2021.

უმაღლესი განათლების აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციები და რჩევები სრულად იქნა გათვალისწინებული და ეტაპობრივად სრულდებოდა, რაც დეტალურად ასახულია „უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამასთან დაკავშირებით საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშში.“ შუალედური ანგარიშის განხილვა მოხდა ინჟინერიის, აგრარულ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის საბჭოს სხდომაზე (დანართი 3. სხდომის ოქმი №8, 06.09.2021 წ.).

„უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამასთან დაკავშირებით საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის“ დასრულებული ვერსიის განხილვა მოხდა 28 ოქტომბერს ინჟინერიის, აგრარულ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის საბჭოს სხდომაზე (დანართი 3. სხდომის ოქმი №9 28.10.2021 წ.) და ეცნობა აკადემიურ საბჭოს (დადგენილება №54, 04.11.2021 წ.).

სამუშაო ჯგუფების შემადგენლობა და პასუხისმგებლობების სფეროები:

სამუშაო პროცესის კოორდინირება:

სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური;

ინჟინერიის, აგრარულ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური;

სამუშაო ჯგუფი:

ასტრონომიის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი, პროფესორი რევაზ ჭილაძე (რეკომენდაცია 4.1, 4.2, 4.3, 4.4)

ინჟინერიის, აგრარულ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის სპეციალისტი, ასოცირებული პროფესორი - ლელა წითაშვილი (რეკომენდაცია 4.1, 4.2, 4.3, 4.4)

პროფესორი - რაგული ინასარიძე (რეკომენდაცია 4.3);

პროფესორი - გიორგი მესხი (რეკომენდაცია 4.3);

მოწვეული სპეციალისტი - ელდარ ხუციშვილი (რეკომენდაცია 4.3);

მოწვეული სპეციალისტი-გივი ქიმერიძე (რეკომენდაცია 4.3);

⁷ საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ ანგარიშის წარმოდგენის თარიღი, საბჭოს გადაწყვეტილებით განსაზღვრული ანგარიშის წარმოდგენის ვადა, რეკომენდაციების ან/და რჩევების გათვალისწინების პროცესში ჩართული პირების, შერჩეული მეთოდების/მიდგომების აღწერა და საბოლოოდ მიღწეული შედეგები, საჭიროებისამებრ, დამატებით სხვა ინფორმაცია.



საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის სპეციალისტი მერი სახამბერიძე (რეკომენდაცია 4.2)
უნივერსიტეტის საფინანსო სამსახურის უფროსი სპეციალისტი ეკა ვეფხიაშვილი (რეკომენდაცია 4.4)

რჩევ(ებ)ი⁸

4.5 პროგრამის განვითარებისთვის რამდენიმე სალაბუსში ძირითად ლიტერატურაში ქართულ ენაზე გამოცემულ მოძველებულ და ინგლისურენოვან ახალ მაღალკვალიფიციურ ლიტერატურას, კარგი იქნება დაემატოს ქართულ ენაზე ახალი გამოცემულიც.

4.6 თითქმის ყველა სილაბუსს სასურველია დაემატოს კვირაში 1-2 პრაქტიკის საათი და საკონტაქტო საათები გაიზარდოს 3-4 საათამდე კვირაში.

4.7 აკადემიური პერსონალის მხრიდან გაძლიერდეს მუშაობა მაგისტრანტების სმეცნიერო-კვლევით პროექტებში ჩართულობის მაჩვენებლის ასამაღლებლად.

4.8 საჭიროა მეტი ჩართულობა სამეცნიერო აქტივობებში და ერთობლივ პროექტებში სხვა უნივერსიტეტებთან (სხვა დაწესებულებებთან ერთად ერთობლივი ხელმძღვანელობით შესრულებული სამაგისტრო ნაშრომები, სამეცნიერო სტატიები, ერთობლივი მოხსენებები...), რომლებიც უზრუნველყოფს მაგისტრატურის კურსდამთავრებულების ინტეგრაციას სხვადასხვა უნივერსიტეტების დოქტორანტურის პროგრამებში.

4.9 სასურველია გათვალისწინებული იქნეს, რომ პროგრამაზე სტუდენტების რაოდენობის ზრდის შემთხვევაში გახდეს საჭირო მოწვეული პერსონალის რაოდენობის გაზრდა და სასურველია თადარიგის დაჭერა შესაბამისი ადამიანური რესურსის მოძიებისთვის.

4.10 დაზუსტდეს სამაგისტრო ნაშრომის წინაპირობები, სამაგისტრო ინსტრუქციის შესაბამისად;

4.11 ვებ-გვერდზე განთავსებული იყოს პროფესორ-მასწავლებელთა ინდივიდუალური კონსულტაციების განრიგი;

4.12 გაძლიერდეს სტუდენტების ურთიერთობა დამსაქმებლებთან და მათთან შეხვედრებს მიეცეს სისტემატიური ხასიათი.

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილი ანგარიშისა და რჩევების გათვალისწინების შესახებ ინფორმაცია⁹

სამუშაო ჯგუფი:

ასტრონომიის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი, პროფესორი რევაზ ჭილაძე (რჩევა 4.5, 4.6, 4.7, 4.8, 4.9, 4.10, 4.11, 4.12)

ინჟინერიის, აგრარულ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის სპეციალისტი, ასოცირებული პროფესორი - ლელა წითაშვილი (რჩევა 4.5, 4.6, 4.7, 4.8, 4.9, 4.10, 4.11, 4.12)

პროფესორი - რაგული ინასარიძე (რჩევა 4.7, 4.8);

პროფესორი - გიორგი მესხი (რჩევა 4.7, 4.8);

მოწვეული სპეციალისტი - ელდარ ხუციშვილი (რჩევა 4.7, 4.8);

⁸ საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებით განსაზღვრული რჩევების რაოდენობის გათვალისწინებით (რჩევების გათვალისწინება არ არის სავალდებულო)

⁹ საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ ანგარიშის წარმოდგენის თარიღი, საბჭოს გადაწყვეტილებით განსაზღვრული ანგარიშის წარმოდგენის ვადა, რეკომენდაციების ან/და რჩევების გათვალისწინების პროცესში ჩართული პირების, შერჩეული მეთოდების/მიდგომების აღწერა და საბოლოოდ მიღწეული შედეგები, საჭიროებისამებრ, დამატებით სხვა ინფორმაცია.



მოწვეული სპეციალისტი - გივი ქიმერიძე (რჩევა 4.7, 4.8);

საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის სპეციალისტი - მერი სახამბერიძე (რჩევა 4.12)

საზღვარგარეთთან ურთიერთობის უფროსი სპეციალისტი - გურანდა მოდებაძე (რჩევა 4.8);

სჯსუ -ს საიტის ადმინისტრატორი, მოწვეული სპეციალისტი ჯულიეტა ტაბეშაძე (რჩევა 4.11);

დამატებითი ინფორმაცია¹⁰

რეკომენდაცი(ებ)ის ან/და რჩევ(ებ)ის გათვალისწინების შესახებ¹¹

სტანდარტის დასახელება ¹²	2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა
კომპონენტის დასახელება ¹³	2. 6. სტუდენტების შეფასება
რეკომენდაცია I ¹⁴ 4.1	სამაგისტრო ნაშრომის შეფასების კრიტერიუმების განმარტებები გაიწეროს ქულების მიხედვით;
შეფასება	აკრედიტაციის საბჭოს რეკომენდაციის შესაბამისად სამაგისტრო ნაშრომის შეფასების კრიტერიუმების განმარტებების შესაბამისი ქულები ჩაიშალა თითოეული შესაფასებელი კომპონენტისთვის მაქსიმალურიდან მინიმალურამდე ასტრონომიის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით. რეკომენდაცია შესრულებულია
რჩევა ¹⁵ I	
შეფასება	
მტკიცებულებ(ებ)ი ^ა	დანართი 4. 4.1. სამაგისტრო ნაშრომის შეფასების კრიტერიუმები 4.2. სსიპ - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამაგისტრო პროექტის/ნაშრომის მომზადების ინსტრუქცია;

¹⁰ საგანმანათლებლო დაწესებულების გადაწყვეტილებით, საჭიროების შემთხვევაში

¹¹ საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებით განსაზღვრული რეკომენდაციების ან/და რჩევების რაოდენობის გათვალისწინებით

¹² სტანდარტის დასახელება ნუმერაციის მითითებით

¹³ კომპონენტის დასახელება ნუმერაციის მითითებით

¹⁴ საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებიდან ამონაწერი (რეკომენდაცია გადმოიტანეთ უცვლელად)

¹⁵ საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებიდან ამონაწერი (რჩევა გადმოიტანეთ უცვლელად)



	4.3 აკადემიური საბჭოს დადგენილება - სამაგისტრო პროექტის/ნაშრომის მომზადების ინსტრუქციაში ცვლილებების შესახებ;
--	---

სტანდარტის დასახელება	1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა
კომპონენტის დასახელება	1.2 პროგრამის სწავლის შედეგები
რეკომენდაცია II ¹⁶ 4.2	მოხდეს სწავლის შედეგების დადარება თანამედროვე შრომის ბაზრის მოთხოვნებთან;
შეფასება	რეკომენდაციის შესასრულებლად კვლევის პროცესი განახორციელა სსიპ - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის უფროსმა სპეციალისტმა - სტუდენტთა კარიერული ზრდისა და განვითარების საკითხების მიმართულებით. სსიპ - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასტრონომიის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის კურსდამთავრებულებისთვის დასაქმების ძირითადი სფეროებია: საქართველოს აკადემიკოს ევგენი ხარაძის ეროვნული ასტროფიზიკური ობსერვატორია ობსერვატორია; საგანმანათლებლო დაწესებულებები (მათ, შორის სსიპ - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი); საწარმოო დაწესებულებები. რეკომენდაციის შესაბამისად, სწავლის შედეგების დადარება თანამედროვე შრომის ბაზრის მოთხოვნებთან ჩატარდა სამცხე-ჯავახეთის რეგიონის ზემოთ აღნიშნულ დაწესებულებებთან და კვლევის მიზნიდან გამომდინარე, კვლევის ობიექტებად შერჩეული იყო: სსიპ - საქართველოს ე.ხარაძის ეროვნული ასტროფიზიკური ობსერვატორია და სამცხე-ჯავახეთის რეგიონში მოქმედი საჯარო და კერძო სკოლები, აგრეთვე, ასტრონომიის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის კურსდამთავრებულები. კვლევა ჩატარდა კვლევის მეთოდოლოგიის დაცვით და მოიცავდა: კვლევის მიზნებისა და ამოცანების იდენტიფიცირებას; მიგნებების გამოკვეთას; დასკვნების გამოტანასა და რეკომენდაციების შემუშავებას;

¹⁶ საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებიდან ამონაწერი (რეკომენდაცია გადმოიტანეთ უცვლელად)



	ინსტიტუციური ხასიათის ზოგადი მიგნებების დადარებას გასული წლის კვლევებთან (ასეთის არსებობის შემთხვევაში); ძლიერი და გასაუმჯობესებელი მხარეების გამოკვეთას; ძლიერი მხარეების შენარჩუნებას, ხოლო გასაუმჯობესებელი მხარეებისთვის რეკომენდაციებისა და რჩევების შემუშავებას; შესაბამისი საგანმანათლებლო სტრუქტურული ერთეულებისათვის კვლევების შედეგების, მიგნებებისა და დასკვნების გაცნობა შემდგომი რეაგირებისა და უკუკავშირის მისაღებად. კვლევების შედეგების განთავსებას უნივერსიტეტის ვებგვერდზე, უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის ფანჯარაში. რეკომენდაცია შესრულებულია
რჩევა ¹⁷ II	
შეფასება	
მტკიცებულებ(ებ)ა	დანართი 6. შრომის ბაზრის კვლევა

სტანდარტის დასახელება	2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა
კომპონენტის დასახელება	2.3. სასწავლო კურსი
რეკომენდაცია II ¹⁸ 4.3	სავალდებულო საგნებში კვირაში 2 საკონტაქტო საათი სასურველია შეიცვალოს 3 საათით. რაც უდავოდ შეუწყობს ხელს დასახული მიზნების მიღწევას. განსაკუთრებით თვალშისაცემია მცირე საკონტაქტო საათები 6 კრედიტიანი საგნების დროს. კლასიკური საგნების: სფერული ასტრონომია, ცის მექანიკა, ვასრკვლავთა ასტრონომია, ასტროფიზიკა. სილაბუსებში სასურველია უახლესი არსებული ლიტერატურის დამატება პირველი სემესტრის საგანში „სფერული ასტრონომია“ ძირითადი ლიტერატურის მე-3 ლექციების კურსი უნდა იქნას გადატანილი დამატებით ლიტერატურაში.

¹⁷ საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებიდან ამონაწერი (რჩევა გადმოიტანეთ უცვლელად)

¹⁸ საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებიდან ამონაწერი (რეკომენდაცია გადმოიტანეთ უცვლელად)



შეფასება	დამატებულია შემდეგი ლიტერატურა: თეიმურაზ კვერნაძე. ცის მექანიკა და კოსმოსური დინამიკა, ლექციების კურსი. გამომცემლობა ასტრონომია. თბილისი 2020, პირველი სემესტრის სასწავლო კურსის - სფერული ასტრონომიის სილაბუსში სავალდებულო ლიტერატურაში მითითებული სახელმძღვანელო - 3. გ. რამიშვილი სფერული ასტრონომიის კურსი, თბილისი 2016 წელი, გადატანილია დამატებით ლიტერატურაში. ძირითადი სწავლის სფეროს შესაბამისი შინაარსის არჩევითი სასწავლო კურსების რაოდენობა გაიზარდა და დაემატა შემდეგი საგანი: გალაქტიკების ფიზიკა. რეკომენდაცია უმეტესწილად შესრულებულია (ყველა კურსში არ არის სათანადოდ მითითებული, რომ საკონტაქტო საათები არ არის 3სთ-ზე ნაკლები. ლიტერატურა ყველა კურსში არ არის უახლესი, თუმცა მითითებული ლიტერატურა კურსის მასალას შეესაბამება)
რჩევა ¹⁹ II	
შეფასება	
მტკიცებულებ(ებ)ა	დანართია 2 2.1. ასტრონომიის სამაგისტრო პროგრამა; 2.2. სილაბუსები.

სტანდარტის დასახელება	4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა
კომპონენტის დასახელება	4.4 პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა
რეკომენდაცია II ²⁰ 4.4	შემუშავდეს პროგრამის დეტალური ბიუჯეტი და განისაზღვროს პროგრამის მდგრადობის მიმართულებანი.
შეფასება	ბიუჯეტის შედგენისას გათვალისწინებულია:

¹⁹ საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებიდან ამონაწერი (რჩევა გადმოიტანეთ უცვლელად)

²⁰ საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებიდან ამონაწერი (რეკომენდაცია გადმოიტანეთ უცვლელად)



	პროგრამაში ჩართული აკადემიური და მოწვეული პერსონალის შრომის ანაზღაურება; □ ფაკულტეტის ადმინისტრაციის (დეკანი, დეკანის მოადგილე, ხარისხის სამსახურის უფროსი/სპეციალისტი, სპეციალისტის) შრომის ანაზღაურება; □ სამაგისტრო პროექტის/ნაშრომის თემის ხელმძღვანელის ანაზღაურება; აკადემიური/მოწვეული პერსონალის თანადაფინანსება იმპაქტ- ფაქტორის ან სხვა საერთაშორისო რეფერირებად/რეცენზირებად ბაზებში რეგისტრირებულ ჟურნალებში სამეცნიერო ნაშრომის გამოსაქვეყნებლად; კონფერენციებზე, ფორუმებზე, ტრენინგებსა და სხვა ღონისძიებებში წარგზავნილი აკადემიური/მოწვეული პერსონალის მონაწილეობის სამივლინებო ხარჯები; სტუდენტთა და თანამშრომელთა კონფერენციების ჩასატარებელი ხარჯები და სამეცნიერო შრომათა, სასწავლო სახელმძღვანელოების, მონოგრაფიების გამოცემის თანადაფინანსება; მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესებისათვის საჭირო თანხები. პროგრამის ბიუჯეტით გათვალისწინებული ფინანსური რესურსების გამოყოფა ეკონომიკურად მიღწევადი და შეესაბამება პროგრამის საჭიროებებს.
	რეკომენდაცია შესრულებულია
რჩევა ²¹ II	
შეფასება	
მტკიცებულებ(ებ)ა	დანართი 7. ასტრონომიის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ბიუჯეტი

სტანდარტის დასახელება	2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა
კომპონენტის დასახელება	2.3. სასწავლო კურსი
რეკომენდაცია II ²²	
შეფასება	

²¹ საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებიდან ამონაწერი (რჩევა გადმოიტანეთ უცვლელად)

²² საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებიდან ამონაწერი (რეკომენდაცია გადმოიტანეთ უცვლელად)



რჩევა ²³ II 4.5	პროგრამის განვითარებისთვის რამდენიმე სილაბუსში ძირითად ლიტერატურაში ქართულ ენაზე გამოცემულ მოძველებულ და ინგლისურენოვან ახალ მაღალკვალიფიციურ ლიტერატურას, კარგი იქნება დაემატოს ქართულ ენაზე ახალი გამოცემულიც.
შეფასება	რამდენიმე სილაბუსში დაემატა ახალი ლიტერატურა: მათ შორის, სასწავლო კურსის სილაბუსს - ცის მექანიკა დაემატა: თეიმურაზ კვერნაძე. ცის მექანიკა და კოსმოსური დინამიკა, ლექციების კურსი. გამომცემლობა ასტრონომია. თბილისი 2020; სასწავლო კურსის სილაბუსს - გალაქტიკების ფიზიკა დაემატა: თეიმურაზ კვერნაძე. გალაქტიკური ასტრონომია ლექციების კურსი. თბილისი 2020; სასწავლო კურსის სილაბუსს - ვარსკვლავთა ასტრონომია დაემატა თეიმურაზ კვერნაძე. გალაქტიკური ასტრონომია ლექციების კურსი. თბილისი 2020. რჩევა გათვალისწინებულია
მტკიცებულებ(ებ)ი	დანართი 2. 2.2. სილაბუსები: ცის მექანიკა, გალაქტიკების ფიზიკა ვარსკვლავთა ასტრონომია

სტანდარტის დასახელება	2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა
კომპონენტის დასახელება	2.3. სასწავლო კურსი
რეკომენდაცია II ²⁴	
შეფასება	
რჩევა ²⁵ II 4.6	თითქმის ყველა სილაბუსს სასურველია დაემატოს კვირაში 1-2 პრაქტიკის საათი და საკონტაქტო საათები გაიზარდოს 3-4 საათამდე კვირაში.

²³ საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებიდან ამონაწერი (რჩევა გადმოიტანეთ უცვლელად)

²⁴ საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებიდან ამონაწერი (რეკომენდაცია გადმოიტანეთ უცვლელად)

²⁵ საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებიდან ამონაწერი (რჩევა გადმოიტანეთ უცვლელად)



შეფასება	ყოველკვირეული საკონტაქტო საათები გაიზარდა 3 საათამდე და მოიცავს ლექციას 1 საათი, სამუშაო ჯგუფი/პრაქტიკული მეცადინეობა 2 საათი. აღნიშნული ცვლილებები აისახა ასტრონომიის სამაგისტრო რჩევა მეტწილად გათვალისწინებულია (ყველა კურსში არ არის სათანადოდ მითითებული, რომ საკონტაქტო საათები არ არის 3სთ-ზე ნაკლები, თუმცა ეს ცვლილება ჩანს საკონტაქტო საათების ჯამში).
მტკიცებულებ(ებ)ა	დანართი 2. 2.2. სილაბუსები ატომისა და ბირთვის ფიზიკა, ასტროფიზიკა 1, ასტროფიზიკა 2, ცის მექანიკა, ვარსკვლავთა ასტრონომია, სფერული ასტრონომია, ვარსკვლავთ დინამიკა, ასტროფიზიკური სპექტროსკოპია, კოსმოსური სხივები და ელემენტარული ნაწილაკები, ინგლისური ენა 1, ინგლისური ენა 2, გარეგალაქტიკური ასტრონომია,

სტანდარტის დასახელება	2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა
კომპონენტის დასახელება	2.4 პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/სამეცნიერო და ტრანსფერული უნარების განვითარება
რეკომენდაცია II ²⁶	
შეფასება	
რჩევა ²⁷ II 4.7	აკადემიური პერსონალის მხრიდან გაძლიერდეს მუშაობა მაგისტრანტების სამეცნიერო-კვლევით პროექტებში ჩართულობის მაჩვენებლის ასამაღლებლად.
შეფასება	

²⁶ საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებიდან ამონაწერი (რეკომენდაცია გადმოიტანეთ უცვლელად)

²⁷ საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებიდან ამონაწერი (რჩევა გადმოიტანეთ უცვლელად)



	ასტრონომიის მაგისტრანტი (დ.დათაშვილი) და დოქტორანტები (ვ.აივაზიანი, გ.კაპანაძე) ჩაბმული არიან: დედამიწისათვის საშიში ასტეროიდების ასტრომეტრული და ფოტომეტრული დაკვირვებებში, რომელთა შეჯახებაც მოსალოდნელია დედამიწასთან.” თემაზე მუშაობა მიმდინარეობს საერთაშორისო პროგრამა GAIA (მთავარი ევროპული კოსმოსური სააგენტო) ფარგლებში. პროექტის ხელმძღვანელი არაგულინასარიძე. აგრეთვე დოქტორანტი ს. კურტანიძე ჩართულია გარეგალაქიკური ობიექტების შესწავლაში, „ტევზლაზარების დროითი მახასიათებლები“, შოთარუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდი, FR 19 –6174, 2020-2023. პროექტის ხელმძღვანელი არევაზ ჭილაძე. სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასტრონომიის სამაგისტრო პროგრამის სტუდენტებმა: ლეონ ავეტისიანმა და ალბერტ გევორქიანმა სომხური ენიდან ქართულ ენაზე თარგმნეს ა.გ. ნიკოგოსიანის წიგნი “თეორიული ასტროფიზიკის ამოცანათა კრებული“ 1 ნაწილი, ერევანი 2013. რჩევა გათვალისწინებულია
მტკიცებულებ(ებ)ა	დანართი 5. სტუდენტთა სამეცნიერო აქტივობები, პროექტები, კონფერენცია და სხვ. 5.1. დ. დათაშვილი სტატია; 5.2. დ. დათაშვილის შრომები; 5.6. ა. ნიკოგოსიანი, წიგნი.

სტანდარტის დასახელება	2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა
კომპონენტის დასახელება	2.4 პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/სამეცნიერო და ტრანსფერული უნარების განვითარება
რეკომენდაცია II ²⁸	
შეფასება	
რჩევა II 4.8	საჭიროა მეტი ჩართულობა სამეცნიერო აქტივობებში და ერთობლივ პროექტებში სხვა უნივერსიტეტებთან (სხვა დაწესებულებებთან ერთად ერთობლივი ხელმძღვანელობით შესრულებული სამაგისტრო ნაშრომები, სამეცნიერო სტატიები, ერთობლივი მოხსენებები...), რომლებიც უზრუნველყოფს

²⁸ საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებიდან ამონაწერი (რეკომენდაცია გადმოიტანეთ უცვლელად)

²⁹ საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებიდან ამონაწერი (რჩევა გადმოიტანეთ უცვლელად)



	მაგისტრატურის კურსდამთავრებულების ინტეგრაციას სხვადასხვა უნივერსიტეტების დოქტორანტურის პროგრამებში.
შეფასება	სსიპ-სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამაგისტრო პროექტის/ნაშრომის მომზადების ინსტრუქციის შესაბამისად, 2. სამაგისტრო პროექტის/ნაშრომის ხელმძღვანელი 2.1 სამაგისტრო პროექტის/ნაშრომის ხელმძღვანელი შეიძლება იყოს ფაკულტეტის აკადემიური პერსონალი ან მოწვეული დოქტორი (ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირი), რომელსაც გააჩნია სამაგისტრო პროექტის/ნაშრომის თემასთან დაკავშირებულ სამეცნიერო სფეროში კვლევის გამოცდილება და შესაბამისი პუბლიკაციები. სტუდენტს, საჭიროების შემთხვევაში, შეიძლება ჰყავდეს თანახელმძღვანელი (იმ შემთხვევაში, თუ სამაგისტრო თემა მოიცავს ორ ან რამდენიმე დარგს/ქვედარგს). შესაბამისად, ასტრონომიის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის მაგისტრანტების სამეცნიერო ხელმძღვანელები არიან როგორც უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალი, ასევე სსიპ - თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი და საქართველოს ე.ხარადის ეროვნული ასტროფიზიკური ობსერვატორიის მეცნიერ - თანამშრომლები: დანელიანი სუსანა - ხელმძღვანელები: რევაზ ჭილაძე (სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი), ლორანდ სიგუა საქართველოს ე.ხარადის ეროვნული ასტროფიზიკური ობსერვატორიის მთავარი მეცნიერ თანამშრომელი, სამაგისტრო თემა „შერჩეული აქტიური გალაქტიკების ფიზიკური მახასიათებლების განსაზღვრა“. ხალაძე მარიამი -ხელმძღვანელები: რევაზ ჭილაძე(სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი) და ელდარ ხუციშვილი (საქართველოს ე.ხარადის ეროვნული ასტროფიზიკური ობსერვატორიის მეცნიერ თანამშრომელი), სამაგისტრო თემა „ ვარსკვლავთ სპექტრული კლასიფიკაცია“. მელიქიძე ხატია -ხელმძღვანელები: გიორგი მესხი(სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი) და სიმონ წერეთელი (თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი), სამაგისტრო თემა „კოსმოსური სხივები და დედამიწის ატმოსფერო“. ხოლო, ამავე ინსტრუქციის 2.4. პუნქტის შესაბამისად, სამაგისტრო პროექტის/ნაშრომის ხელმძღვანელის ფუნქციაა: □ დაეხმაროს სტუდენტს ადგილობრივ და საერთაშორისო სამეცნიერო სივრცეში ინტეგრირების პროცესში (მათ



	შორის, ადგილობრივ და საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციებში მონაწილეობაში). აღნიშნულის შესაბამისად, მიმდინარე წლის 22 ივნისს სსიპ - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტში ჩატარდა პროფესორ-მასწავლებელთა და სტუდენტთა ონლაინ კონფერენცია, რომელშიც მონაწილეობდნენ ასტრონომიის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის პროფესორ-მასწავლებლები და მაგისტრანტები. კერძოდ, პროფესორი გიორგი მესხი, - „კვაზიმოლეკულური მიახლოება“. □ სოფო ბერაძე, ასტრონომიის მიმართულების დოქტორანტი „ბრწყინვალე ლურჯი ცვალებადები და მათი კვლევა აბასთუმნის ობსერვატორიაში“, ხელმძღვანელი: პროფესორი ნინო ყოჩიაშვილი; □ მანანა ვარდოსანიძე, ასტრონომიის მიმართულების დოქტორანტი „საინტერესო Be ვარსკვლავის EM Cep-ის შესწავლა“, ხელმძღვანელი: პროფესორი ნინო ყოჩიაშვილი; □ გივი კაპანაძე, ასტრონომიის მიმართულების დოქტორანტი, „დედამიწასთან მოახლოებადი ასტეროიდების ფიზიკური პარამეტრების შესწავლა აბასთუმნის ასტროფიზიკურ ობსერვატორიაში“ ხელმძღვანელი: პროფესორი რაგული ინასარიძე; □ ედუარდ ჯანიაშვილი, ასტრონომიის მიმართულების დოქტორანტი, „თანამედროვე შესაძლებლობები მასიური მჭიდრო ორჯერადი სისტემების შესწავლის პროცესში“, ხელმძღვანელი: პროფესორი დავიდ მკრტიჩიანი. □ არმინე ჩახოიანი, ასტრონომიის მიმართულების მაგისტრანტი, „მზის სისტემის პლანეტების ეფემერიდების განსაზღვრა“, ხელმძღვანელი: ასოცირებული მკვლევარი გივი ქიმერიძე. □ * მიმდინარე წლის 4-5 ოქტომბერს აზერბაიჯანში, შემახის ასტროფიზიკურ ობსერვატორიაში ჩატარდა საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია, რომლის მუშაობაში მონაწილეობა მიიღო ასტრონომიის სამაგისტრო პროგრამის პირველი კურსის სტუდენტმა დათა დათაშვილმა. უნივერსიტეტი ჩართულია ევროკავშირის ERASMUS+ -ის ფარგლებში დაფინანსებულ პროექტში: Developing and Implementing Technology-Enhanced Teaching and Learning at Georgian“, პროექტის მენეჯერი და მონაწილეები არიან, უნივერსიტეტის აკადემიური/მოწვეული/ადმინისტრაციული პერსონალი და დოქტორანტები. პროექტის ფარგლებში დაგეგმილია: □ დაინერგოს ორი უნივერსალური ონლაინ კურსი საბაკალავრო და სამაგისტრო დონეზე;
--	---



	□ ჩატარდეს ტრენინგ-პროგრამები სტაფისა და პედაგოგების გადამზადებლად; □ ევროკავშირის პარტნიორი უნივერსიტეტებიდან მიღებული ონლაინ ლექციების მომზადებისა და ჩატარების საუკეთესო პრაქტიკის გაზიარება ინსტიტუციურ და ეროვნულ დონეზე; □ ევროკავშირის ქვეყნებში მომზადდებიან და გადამზადდებიან ონლაინ ინსტრუქტორები, რომლებიც დაეხმარებიან პედაგოგებს ონლაინ კურსების მომზადებაში; საერთაშორისო პროექტის ფარგლებში „ტექნოლოგიებით გაძლიერებული სწავლება და სწავლა საქართველოს უსდ-ებში“ შემუშავებული ახალი სასწავლო კურსები: □ ციფრული სასწავლო ინსტრუმენტების გამოყენების საფუძვლები ახალ სასწავლო გარემოში (BA) □ სასწავლო ტექნოლოგიების გამოყენება სწავლასა და სწავლებაში (MA) საბაკალავრო და სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამებისთვის გარკვეულწილად ხელს შეუწყობს ელექტრონული ტექნოლოგიების განვითარებას უნივერსიტეტში. უმადლეს განათლების ორივე საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამებში შეიძლება შეთავაზებული იქნეს: ა) თავისუფალი კრედიტების სახით; ბ) შესაბამისი შინაარსის სასწავლო კურსებში მოხდეს მისი ინტეგრირება ან/და ახალი/რეაკრედიტაციისთვის შესამუშავებელ პროგრამებში სწავლის სფეროების შესაბამისად ან/და დარგობრივი მახასიათებლების გათვალისწინებით (ასეთის არსებობის შემთხვევაში) მოხდეს მისი დანერგვა სავალდებულო სასწავლო კურსების სახით; გ) ვხედავთ პერსპექტივას და არის მზაობა, სასწავლო კურსები უწყვეტი განათლების მიმართულებით შეთავაზებულ იქნეს მსურველთათვის. რჩევა შესრულებულია
მტკიცებულებ(ებ)ი	დანართი: 5. სტუდენტთა სამეცნიერო აქტივობები, პროექტები, კონფერენცია და სხვ. 5. 3. კონფერენცია 16 მაიაი, 2019 წ. 5. 4. კონფერენცია 10 ივნისი, 2020 წ. 5. 5 კონფერენცია 22 ივნისი, 2021 წ. 5.7. საერთაშორისო კონფერენცია 5.8.ERASMUS+ ხელშეკრულება



სტანდარტის დასახელება	4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა
კომპონენტის დასახელება	4.1. ადამიანური რესურსი
რეკომენდაცია II ³⁰	
შეფასება	
რჩევა ³¹ II 4.9	სასურველია გათვალისწინებული იქნეს, რომ პროგრამაზე სტუდენტების რაოდენობის ზრდის შემთხვევაში გახდეს საჭირო მოწვეული პერსონალის რაოდენობის გაზრდა და სასურველია თადარიგის დაჭერა შესაბამისი ადამიანური რესურსის მოძიებისთვის.
შეფასება	სსიპ - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტსა და საქართველოს აკადემიკოს ევგენი ხარაძის ეროვნული ასტროფიზიკური ობსერვატორია ობსერვატორიას შორის გაფორმებულია ხელშეკრულება ურთიერთთანამშრომლობის შესახებ, ხოლო ამ ეტაპზე მომზადებულია პროექტი - „ერთობლივი სადოქტორო პროგრამის დანერგვისა და განხორციელების მიზნით თანამშრომლობის შესახებ შეთანხმება სსიპ - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტსა და აბასთუმნის ასტროფიზიკურ ობსერვატორიას შორის“, რომლის საფუძველზე ამ ორ დაწესებულებას შორის ურთიერთთანამშრომლობა დღითიდღე ღრმავდება. ობსერვატორიის თანამშრომლები გამოთქვამენ მზაობას ჩართული იყვნენ როგორც მაგისტრანტების სამეცნიერო თემების ხელმძღვანელებად/ თანხელმძღვანელებად, აგრეთვე თავიანთი კომპეტენციის ფარგლებში წაიკითხონ სასწავლო კურსები. ამავე დაწესებულების რამდენიმე მეცნიერ-თანამშრომელი უნივერსიტეტის აკადემიური/მოწვეული პერსონალია.

³⁰ საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებიდან ამონაწერი (რეკომენდაცია გადმოიტანეთ უცვლელად)

³¹ საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებიდან ამონაწერი (რჩევა გადმოიტანეთ უცვლელად)



	რჩევა გათვალისწინებულია
მტკიცებულებ(ებ)ი	დაწესებულების მიერ წარმოდგენილი ანგარიში

სტანდარტის დასახელება	2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა
კომპონენტის დასახელება	2. 6. სტუდენტების შეფასება
რეკომენდაცია II ³²	
შეფასება	
რჩევა ³³ II 4.10	დაზუსტდეს სამაგისტრო ნაშრომის წინაპირობები, სამაგისტრო ინსტრუქციის შესაბამისად;
შეფასება	სსიპ-სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამაგისტრო პროექტის/ნაშრომის მომზადების ინსტრუქციის (დამტკიცებულია სსიპ - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური სამსახურის მიერ სხდომის ოქმი №8, 14.06.2019 წ. დადგენილება №30) თანახმად, 6.1. სამაგისტრო პროექტის/ნაშრომის დაცვაზე დაშვების წინაპირობაა: 6.1.1 სამაგისტრო პროგრამით გათვალისწინებული სასწავლო კომპონენტების კრედიტების სრულად ათვისება; 6.1.2 სამაგისტრო პროექტის/ნაშრომის ხელმძღვანელის შუამდგომლობა ნაშრომის დაცვაზე წარსადგენად; 6.1.3 პლაგიატის პრევენციის, აღმოჩენისა და რეაგირების კომისიის დასკვნა პლაგიატის არ დადასტურების შესახებ. 6.1.4 სამაგისტრო პროექტის/ნაშრომის რეცენზენტის რეკომენდაცია ნაშრომის დაცვაზე წარსადგენად. რჩევა გათვალისწინებულია
მტკიცებულებ(ებ)ი	დანართი 2. ასტრონომიის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა; დანართი 4.2 სსიპ-სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამაგისტრო პროექტის/ნაშრომის მომზადების ინსტრუქცია.

³² საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებიდან ამონაწერი (რეკომენდაცია გადმოიტანეთ უცვლელად)

³³ საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებიდან ამონაწერი (რჩევა გადმოიტანეთ უცვლელად)



სტანდარტის დასახელება	3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა
კომპონენტის დასახელება	3.1. სტუდენტთა საკონსულტაციო მომსახურება
რეკომენდაცია II ³⁴	
შეფასება	
რჩევა ³⁵ II 4.11	ვებ-გვერდზე განთავსებული იყოს პროფესორ-მასწავლებელთა ინდივიდუალური კონსულტაციების განრიგი;
შეფასება	დაწესებულების ანგარიშის თანახმად საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტის/კომპონენტების განმახორციელებელი აკადემიურ/მოწვეულ პერსონალთან საკონსულტაციო დრო, ანუ სტუდენტთა კონსულტაციები სავალდებულო არასაკონტაქტო საათებია, რომელიც გათვალისწინებულია თითოეული სასწავლო კურსის სილაბუსში და ტარდება როგორც წინასწარ შედგენილი გრაფიკის მიხედვით, ასევე on-line რეჟიმში, სტუდენტის საჭიროებების გათვალისწინებით. შემესტრუილი სასწავლო ცხრილების შესაბამისად აკადემიური/მოწვეული პერსონალის ინდივიდუალური კონსულტაციების განრიგი განთავსებულია სსიპ - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის ვებგვერდზე და ხელმისაწვდომია როგორც სტუდენტებისთვის, ასევე დაინტერესებული პირებისთვის. სავარაუდოდ რჩევა გათვალისწინებულია-სასურველია დაწესებულების მიერ წარმოდგენილ ანგარიშში მითითებული ყოფილიყო ბმული სადაც იძებნება რჩევაში აღნიშნული ინფორმაცია.
მტკიცებულებ(ებ)ა	დაწესებულების მიერ წარმოდგენილი ანგარიში. სსიპ - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის ვებგვერდი - https://sjuni.edu.ge

სტანდარტის დასახელება	3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა
-----------------------	--

³⁴ საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებიდან ამონაწერი (რეკომენდაცია გადმოიტანეთ უცვლელად)

³⁵ საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებიდან ამონაწერი (რჩევა გადმოიტანეთ უცვლელად)



კომპონენტის დასახელება	3.1. სტუდენტთა საკონსულტაციო მომსახურება
რეკომენდაცია II ³⁶	
შეფასება	
რჩევა ³⁷ II 4.12	გამლიერდეს სტუდენტების ურთიერთობა დამსაქმებლებთან და მათთან შეხვედრებს მიეცეს სისტემატიური ხასიათი.
შეფასება	სსიპ - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის უფროსი სპეციალისტი - სტუდენტთა კარიერული ზრდისა და განვითარების საკითხების მიმართულებით პერიოდულად მართავს შეხვედრებსა და ფორუმებს. 1. 2021 წლის 10 ივნისს, სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის პირველ კორპუსში „დასაქმების ფორუმი“ გაიმართა. ფორუმზე სამცხე-ჯავახეთის რეგიონში არსებულმა 50 კომპანიამ 200-მდე ვაკანსია წარმოადგინა. ვაკანსიები ძირითადად ეხება ისეთ სფეროებს, როგორებიცაა ჟურნალისტიკა, აკადემიური სფერო, საბანკო სექტორი, ჰორეკა სექტორი (რესტორნები, კაფე-ბარები და სასტუმროები) არჩევნების მოკლევადიანი სადამკვირვებლო მისია (თვითმმართველო-ბის არჩევნებისთვის მოკლევადიანი სადამკვირვებლო მისია), ადმინისტრაციული საქმე და სტაჟირების შესაძლებლობა უნივერსიტეტში. 2. 2021 წლის 1 ოქტომბერს, ონლაინ შეხვედრა, დასაქმების სააგენტო ეიზარის წარმომადგენლების ორგანიზებით. ონლაინ შეხვედრის მიზანია ვაკანსიის შესახებ ამომწურავი ინფორმაციის მიწოდება დაინტერესებული პოტენციური კანდიდატებისთვის. 3. 2021 წლის 4 ნოემბერს, შეხვედრა „საქართველოს ბიზნეს საკონსულტაციო ორგანიზაციების ასოციაციის“ (ABCO), არასამთავრობო ორგანიზაცია CENN-ის, „სოციალურ საწარმოთა ალიანსისა“ და სოციალური საწარმო „კოდალას“ წარმომადგენლებთან. 4. შეხვედრა ლიბერთი ბანკის წარმომადგენლებთან 07.12.2021 2022 წლისთვის დაგეგმილია დასაქმებულებთან: - რეგიონის საჯარო სკოლების დირექტორებთან; - კერძო ბიზნესის წარმომადგენლებთან; - საჯარო სექტორის წარმომადგენლებთან; - არასამთავრობო ორგანიზაციებთან;

³⁶ საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებიდან ამონაწერი (რეკომენდაცია გადმოიტანეთ უცვლელად)

³⁷ საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებიდან ამონაწერი (რჩევა გადმოიტანეთ უცვლელად)



	- რეგიონის ადგილობრივ თვითმმართველობის წევრებთან; რჩევა გათვალისწინებულია
მტკიცებულებ(ებ)ი	დანართი 8. დასაქმების ფორუმები

თანდართული დოკუმენტაცია³⁸

დანართი 1. საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საბჭოს რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის საფასურის ქვითარი - 1 გვერდი;

დანართი 2. ასტრონომიის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა (20 გვერდი),
სილაბუსები (126 გვერდი):

1. ცის მქანია - 7 გვერდი;

2. ვარსკვლავთა ასტრონომია - 8 გვერდი;

4. სფერული ასტრონომია - 7 გვერდი;

5. გალაქტიკების ფიზიკა - 7 გვერდი;

6. გარეგალაქტიკური ასტრონომია - 7 გვერდი;

7. ასტროფიზიკა - I - 7 გვერდი;

8. ასტროფიზიკა - II - 7 გვერდი;

9. ასტროფიზიკური სპექტროსკოპია - 8 გვერდი;

10. ასტროფოტომეტრია - 7 გვერდი;

11. ატომისა და ბირთვის ფიზიკა - 7 გვერდი;

12. ვარსკვლავთა დინამიკა - 6 გვერდი;

13. ინგლისური ენა - I - 9 გვერდი;

14. ინგლისური ენა - II - 10 გვერდი;

15. კოსმოსური სხივები და ელემენტარული ნაწილაკები - 8 გვერდი;

16. მზე - დედამიწის კავშირების ფიზიკა - 7 გვერდი;

17. პლანეტებისა და თანამგზავრების ფიზიკურ-ქიმიური თვისებები - 7 გვერდი;

18. მზის ფიზიკურ - დინამიკური მახასიათებლები - 7 გვერდი;

19. ცდათა და დაკვირვებათა შედეგების მათემატიკური დამუშავება - 9 გვერდი;

დანართი 3. სხდომის ოქმები - (19 გვერდი, 3 ფოტო ფაილი):

3.1. აკადემიური საბჭოს დადგენილება №54 – 1 გვ

3.2. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის სხდომის ოქმი (ამონაწერი) №19 – 4 გვერდი;

³⁸ თითოეული დოკუმენტის დასახელება და ფურცლების რაოდენობა



- 3.3. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის სხდომის ოქმი №21 – 4 გვერდი;
- 3.4. ფაკულტეტის საბჭოს სხდომის ოქმის ამონაწერი №4 - 3 გვერდი;
- 3.5. ფაკულტეტის საბჭოს სხდომის ოქმის ამონაწერი № 8 - 3 გვერდი;
- 3.6. ფაკულტეტის საბჭოს სხდომის ოქმის ამონაწერი № 9 - 3 გვერდი;
- 3.7. ფაკულტეტის საბჭოს გადაწყვეტილება - 1 გვერდი;
- 3.8. ფოტო ფაილები - 3 ცალი.
- დანართი 4. სამაგისტრო ნაშრომის შეფასების კრიტერიუმები - 27 გვერდი;
- 4.1. სამაგისტრო ნაშრომის შეფასების კრიტერიუმები - 6 გვერდი
- 4.2. სამაგისტრო პროექტის/ნაშრომის მომზადების ინსტრუქცია - 20 გვერდი;
- 4.3 აკადემიური საბჭოს დადგენილება, სამაგისტრო პროექტის/ნაშრომის მომზადების ინსტრუქციაში ცვლილებების შესახებ - 1 გვერდი;
- დანართი 5. სტუდენტთა სამეცნიერო აქტივობები, პროექტები, კონფერენცია და სხვ. 90 გვერდი)
- 5.1 .დათაშვილის სტატია - 6 გვერდი;
- 5.2. დათა დათაშვილი შრომები- 1 გვერდი;
- 5.3 კონფერენცია 16 მაისი 2019- 9 გვერდი;
- 5.4. კონფერენცია 10 ივნისი 2020- 2 გვერდი;
- 5.5.კონფერენციის პროგრამა 22 ივნისი. 2021- 6 გვერდი;



- 5.6. ანიკოგოსიანი წიგნი - 47 გვერდი;
5.7.საერთაშორისო კონფერენცია- 4-5 ოქტომბერი 2021 - 5 გვერდი;
5.8.ERASMUS+ ხელშეკრულება - 14 გვერდი.
დანართი 6. სწავლის შედეგები, შრომის ბაზრის კვლევა - 13 გვერდი.
დანართი 7. ასტრონომიის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ბიუჯეტი - 2 გვერდი.
დანართი 8. დასაქმების ფორუმები - 7 ფოტო ფაილი.

ექსპერტის ხელმოწერა

გ.ქანთიშვილი